# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 219

„ 27 " ივნისი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „Organica"-სთვის (ს/კ 400056461) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „Organica"-სთვის (ს/კ 400056461) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 24 მაისის №18.08.350 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე 606 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.038) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „Organica"-სთვის (ს/კ 400056461) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი